ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N3

ქ.თბილისი 27 დეკემბერი, 2021 წელი
15[45]საათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - თინათინ წიბლოშვილი

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები:

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე - ლევან არველაძე;

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე - ნინო ვარდოსანიძე;

გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე - ნიკოლოზ კახეთელიძე;

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე - კახაბერ ლაბუჩიძე;

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - შალვა ოგბაიძე;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ჟორჟოლიანი;

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე - რევაზ სოხაძე;

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე - გიორგი ჩაკვეტაძე;

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ჩიკვილაძე;

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ხელაძე;

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე - ლევან ჯაფარიძე.

საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეები:

ფრაქციის „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარე - საბა ბუაძე;

ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე - ზაზა თავაძე;

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე - ირაკლი ნადირაძე.

საკრებულოს ბიუროს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის საკითხები:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან დოლიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ";
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ";
3. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე";
4. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე";
5. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე";
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის" პროექტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ";
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა", საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";
10. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

11. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";
12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდაზე შეღავათის დადგენის შესახებ".

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ".

გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ განისაზღვრა საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, რომლის მიხედვითაც საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა განისაზღვრა საკრებულოს ცამეტი წევრით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შესახებ დანართი ოქმს თან ერთვის).

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკრებულოში შეიქმნა ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის", რომლის თავმჯდომარეა საბა ბუაძე, ხოლო თავმჯდომარის მოადგილე ცოტნე კობერიძე. განმარტა, რომ ფრაქციის რეგისტრაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია (ფრაქციის წესდება და პლატფორმა) განიხილა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ, რომლის დასკვნის თანახმად, დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით ფრაქციის რეგისტრაციისთვის საჭირო აუცილებელ მოთხოვნებს და უნდა გატარდეს რეგისტრაციაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის" შექმნის საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

გიროგი ტყემალაძემ საკრებულოს ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნა გიორგი შარაშიძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარის მოადგილედ გიორგი შარაშიძის არჩევის შესახებ საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. მიღებული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან დოლიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
3. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“;
4. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“;
5. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“;
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის“ პროექტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

10. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

11. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდაზე შეღავათის დადგენის შესახებ“.

2. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

დანართი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვროს საკრებულოს 13 წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – 7 წევრი;
2. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 3 წევრი;
3. ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ – 1 წევრი;
4. ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ – 1 წევრი;

საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვროთ 1 (ერთი) კვოტა.